

ფაქტადი უკუბრუნდა
ნაი შემდგომში
ფაქტადი უკუბრუნდა
საქმის
11.01.2020



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურას.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული სამედიცინო განათლების მქონე პირი (ექიმი), რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, შიდასაუნივერსიტეტო აქტებით და წინამდებარე წესით.
3. სამედიცინო განათლების მქონე პირი (ექიმი), უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად მოქმედებს სამედიცინო ოთახი, რომელიც მდებარეობს სასწავლო უნივერსიტეტის პირველ სართულზე.
2. სამედიცინო ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ნივთები (ბამბა, სტერილური/ელასტიური ბინტი, ჟგუტი, ასევე სიცხისა და წნევის საზომი აპარატები).
3. სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებულია სამედიცინო განათლების მქონე პირი-ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.
3. უბედური შემთხვევის დროს აუცილებელია ნებისმიერმა პირმა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:
 - დროულად მოუხმოს სამედიცინო განათლების მქონე პირს-ექიმს მასთან დაკავშირება შესაძლებელია ტელეფონით -995 77315741
 - არ გადაადგილოს დაზარალებული უნივერსიტეტში დასაქმებული სამედიცინო განათლების მქონე პირის -ექიმის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იქ დარჩენა სახიფათოა.
 - აუცილებლობის შემთხვევაში აღმოუჩინოს დახმარება ამ წესის დანართი №1. შესაბამისად.
 - აუცილებლობის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრთან დაკავშირებით გამოიძახოს სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და სხვა.

მუხლი 4. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა

1. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო უნივერსიტეტს არ გააჩნია კომპეტენცია, სამედიცინო დახმარება გაუწიოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს/პროფესორულ სტუდენტებს,



პერსონალს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, ოპერატიულად გამოძახებულ იქნას სასწრაფო დახმარება.

2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები:

ა) სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებსა და სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ სასწავლო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების მქონე პირს-ექიმს და მიიღოს შესაბამისი კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება.

ბ) თუ სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ან სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი ვერ ახერხებს სასწავლო უნივერსიტეტის ექიმთან დამოუკიდებლად მისვლას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასწავლო უნივერსიტეტის ექიმს, დაცვის სამსახურს ან ადმინისტრაციას, რომლებიც ვალდებული არიან მიიყვანონ ეს პიროვნება უნივერსიტეტში არსებულ სამედიცინო ოთახთან.

გ) თუ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ან სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, სასწავლო უნივერსიტეტში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და სთხოვოს მას ავადმყოფის ადგილზე გასინჯვა. სასწავლო უნივერსიტეტის ექიმი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.

დ) აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტის ექიმმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება და საჭიროების შემთხვევაში სხვა სამსახურები (პოლიცია და ა.შ).

ე) სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, სასწავლო უნივერსიტეტის ექიმმა ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:

1. საკუთარი ტელეფონის ნომერი;
2. სასწავლო უნივერსიტეტის მისამართი;
3. რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რამდენად სერიოზულია ის;
4. დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;
5. ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.

3. სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს უსასყიდლოდ აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს უსასყიდლოდ გაუწიოს კონსულტაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) ხელი შეუწყოს სასწავლო უნივერსიტეტში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას;

დ) შესაძლებლობის ფარგლებში გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.




მუხლი 5. გარდამავალი დებულებანი

1. სასწავლო უნივერსიტეტს აქვს უფლება უსაფრთხოების დასაცავად განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის გამოც საჭირო გახდება ასეთი წესების გამოყენება.
2. წინამდებარე წესს დანართის სახით თან ახლავს პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით ზოგადი ქმედებების ინსტრუქციები, რომლებიც წარმოადგენენ სავალდებულო შინაარსის მქონე რეკომენდაციებს.

- ყოველი 10 ჩაბერვის შემდეგ კვლავ გადაამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;
- თუ ცირკულაციის ნიშნები არ არის, ეს ნიშნავს რომ გული გაჩერებულია და თქვენ სწრაფად უნდა დაიწყოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი:

3. გულის არაპირდაპირი მასაჟის შესრულების ტექნიკა



- დადებით მუხლებზე დაზარალებულის გულმკერდის გასწვრივ. მოძებნეთ დაზარალებულის ღვრილების შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი, ამ წერტილის ქვევით ვათავსებთ ერთ ხელს, ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი; ეს არის ის ადგილი, რომელზეც თქვენ უნდა მოახდინოთ ზეწოლა;
- დაადეთ მტევანი ზემოდან მეორე ხელს, შეჭიდეთ თითები და ასწიეთ ზემოთ ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი;
- გამალეთ ხელები იდაყვის სახსარში ისე, რომ თქვენს ხელებსა და გულმკერდის წინა კედელს შორის იყოს სწორი კუთხე. მოახდინეთ ზეწოლა მკერდის ძვალზე ისე, რომ ზეწოლის სიღრმე არ აღემატებოდეს 4-5 სმ-ს. ზეწოლის შემდეგ ხელების მოუშორებლად მიეცით მკერდის ძვალს საწყის მდებარეობაში დაბრუნების საშუალება. ზეწოლისას ითვალეთ: “ერთი, ორი, სამი, ოთხი 15-მდე” ისე რომ 1 წუთში გამოვიდეს 100 ზეწოლა მკერდის ძვალზე.
- თუ თქვენ მარტო ხართ:



პოახდინეთ 15 ზეწოლა. ამის შემდეგ თქვენ უნდა დაიწყოთ ხელოვნური სუნთქვა. ამისათვის გახსენით სასუნთქი გზები და გააკეთოთ 2 ჩაბერვა. გააგრძელეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია შეფარდებით 15 ზეწოლა მკერდის ძვალზე / 2 ჩაბერვა, სანამ: არ აღდგება სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები; არ მოვა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან დამხმარე, რომელმაც იცის გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკა; ფიზიკურად არ გადაიღლებით.

ყოველ 1 წუთში ანუ 4 ციკლის ჩატარების შემდეგ თქვენ უნდა შეწყვიტოთ გულ-ფილტვის რეანიმაცია და გადაამოწმოთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;

- თუ თქვენ გყავთ დამხმარე ერთ-ერთი აკეთებს გულის არაპირდაპირ მასაჟს, ხოლო მეორე ხელოვნურ სუნთქვას. ამ შემთხვევაშიც გულ-ფილტვის რეანიმაცია ტარდება შეფარდებით: 15 ზეწოლა მკერდის ძვალზე / 2 ჩაბერვა. ასეთ შემთხვევაშიც 1 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ გულფილტვის რეანიმაცია ცირკულაციის ნიშნებისა და სუნთქვის შემოწმების მიზნით.

4. გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამოძახება.

- მაშინ როდესაც გული და სუნთქვა გაჩერებულია, ძალიან მნიშვნელოვანია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროული გამოძახება;
- თუ გყავთ დამხმარე - დროულად გააგზავნეთ ის სამედიცინო სამსახურის გამოსაძახებლად;
- თუ ხართ მარტო - სუნთქვის და გულის გაჩერება განპირობებულია ტრავმით ჩაატარეთ გულფილტვის რეანიმაცია 1 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური, დაბრუნდით დაზარალებულთან და გააგრძელეთ პირველი დახმარების აღმოჩენა;